ჩანგი

№ 36

შაბათი,

15 აგვისტო

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიტონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახავს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань", **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

10 კვირკობისთვეს სადგურ მუხიანაში მატარებელის მსხვერპლი შეიქნა სამსახურში მყოფი ჯარის კაცი.

სიმონ (კუჩუნია) **კაციას-ძე ყღენტი**

რასაც ღრმათ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს მშობლები: კაცია და ტერეზი, ძმები: ანტონ, მიშა და გიორგი, დები: გულნარა, მაგლონია, ნინუცა და თამარა, რძლები: ეკატერინა და ნინა.

ტირილი და ორმოცი დანიშნულია კვირას, 16 მარიამობისთვეს დ. ჩოხატაურში 12 საათზე, საკუთარ სახლში. (3—3)

საზაფხულო თეატრი

(თავად-აზნაურთა).

კვირას, 16 აგვისტოს

პირველი დღე მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგულ

ქალთა ჭიდაობისა

იჭიდავებენ: სუსლავა (რუსეთი) და ჩეზი (იტალია), სპორადის (საბერძნეთი) და ტურენი (საფრანგეთი), მარიცა (ბოლგარეთი) და ბერგარი (გერმანია), თამარა (საქართველო) და იონესკო (რუმინია).

პირველი გასტროლი შესანიშნავ ქონდრის კაცებისა

პირველ რუს დრიმატიულ არტისტებისა, მთელი ქვეყნის ყველაზე უფრო პატარა კაცებისა. წარმოადგენენ: **„ლენშჩიკმა მოატყუა"**, ფარსი-ვოდ. ტურბინისა. მთავარ როლებს შეასრულებენ: ქონდრის ქალი ქ-ნი რაევსკაია, ბ. ბ. გრომოვი, რაისკი.

ბაღში **სინემატოგრაფია**, ორკესტრი ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ფასები ჩვეულებრივია. ბაღში შესასვლელი ბილეთი 20 კაპ.

დასაწყისი საღამოს 9 ნახევარ საათზე.

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. ბ. ფიდოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიხამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—37

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი",

შედგენილი ქართულ. გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ. (თვ. 0—5)

აბასთუმანში

კბილის ექიმი

◆ სამსონ ვაშაყმაძე ◆

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ლერ-მარკაროვისა № 42.

ქართველ ინტელიგენტურ

ოჯახში ვღებულობთ სრულ პანსიონში მოსწავლეებს (სასურველია პროვინციიდან) შეიძლება აგრეთვე მომზადება.

ადრესი: მალაკანის ქ. № 50, ბინა 17.

გაზ. „ვარსკვლავი"

სხვადასხვა მიზეზების გამო 10 აგვისტოს არ გამოვიდა. რედაქცია ეცდება კვირაში გაზეთი ორჯერ გამოუშვას 1-ლ ენკენისთვიდან აუცილებლათ.

დ. სურამი

კვირას, 16 აგვისტოს სურამის პარკში ქართული სცენი მსახიობი ნ. გაბუნია-ცაგარლისა გამართავს წარმოდგენას და სეირნობას. წარმოდგენილი იქნება ქართულათ

გაიყუში

2 მოქ. კომედია ა. ცაგარლისა.

რუსულათ

голубой бантъ

водевиль въ 1 дѣйст. А. П. Чехова.

ცეკვა

წარმოდგენის შემდეგ სეირნობის დროს მაშხალები, „რომაული ცეცხლის" ვარსკვლავები, სერპანტინი, კონფეტტი და სხვ. ამას გარდა დანიშნულია **პრიზები**

ადგილების ფასი 2 მ. 30 კ.

სილამაზისა და საუკეთესო ტანისამოსისთვის პარკში შესასვლელათ საჭიროა სეზონის ბილეთის წარდგენა.

დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

საჭიროა არის **გაზეთის გამყიდველი**—აბაშაში და ახალსენაკში, დღეში დარჩება 1 მ. 50 კ.

პირობების გაგება შეიძლება სამტრედიის აგენტთან. საჭიროა არის ბე. (5—2)

ფერშალი

ლ. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

სევერიანე ჯუღელის გარდაცვალების გამო

კისლავოდსკი. თავდადებულ მებრძოლ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვით, მუშათა კლასმა დაკარგა მისი ინტერესებისათვის ენერგიული მებრძოლი. ვგლოვობთ მის დაკარგვას.

თოფურიძე, კალანდარიშვილი, ტორტლაძე, ჩაჩავა, ვადაჭკორია და სალუქვაძე.

—

საჯევახო. სხვებთან ერთათ ჩვენც ღრმათ დაგვამწუხრა თავდადებულ მებრძოლ სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

სურების ამხანაგთა ჯგუფი.

—

ოზურგეთი. ბახვის საზოგადოება სხვებთან ერთათ გლოვობს სევერიანე ჯუღელსი უდროოთ დაკარგვას.

მონდობილებით თედორე

ნახიჩევანი. ნახიჩევანის სადგურის მოსამსახურეები ღრმათ დამწუხრებულნი არიან სევერიანე ჯუღელის უდროოთ გარდაცვალების გამო.

გამყრელიძე.

—

ქუთაისი. დიდათ დაგვამწუხრა სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვამ.

საოჯახო ბაღის მოსამსახურენი ექვთიმე მეიფარიშვილი, ევსტაფი ოკუჯავა.

—

ახალ-სენაკი. მწარეთ ვიგლოვთ პროლეტარიატის და გლეხ-კაცობის ერთგულ მოჭირნახულე სევერიანე ჯუღელის უდროოთ დაკარგვას.

სენაკელი ახალგაზრდობა

—

ტერტერი. ვიგლოვთ ხალხის მეგობარს სევერიანეს.

ტერტერელი ქართველები.

(წერილები)

რედაქციამ მიიღო სამგლოვიარო წერილები:

ბელაგორის ახალგაზდობისაგან, აკაკი კილაძე და ივანე ხარებავადან, გორის რკინის გზის მუშებისაგან, გორელ ამხანაგ მუშებისაგან, გორის კეროსინოპროვოდის მუშებისგან. ქუთაისის ბუფეტის მოსამსახურეთაგან, ბათუმიდან: კონსტ. ჩხაიძე, არტემ იაშვილი, ალექსი ვაჩეშვილი, ლევარსი მეტრეველი, ივანე ხურციძე, გიორგი სვანიძე, ბარნაბა დათუნაიშვილი, რაჟდენ მესხია, მაქსიმე მიქაძე, ივანე ეფრემიძე, ლუკა კვაჭანტირაძისაგან, ჭიათურიდან—ვასილ და გიორგი მურჯანაძე, ივანე გოგებაშვილი და გიორგი ბურულისაგან; იქიდანვე: მელიტონ ზაქარეიშვილი და ალექსანდრე გვენტაძისაგან, ფარახეთიდან—გერმან ერაძესაგან, ს. შინდისიდან—სოფლის მონდობილობით იასონ ნიკოლოზისძე სიმონოვისაგან, ჭიათურიდან—ეფრემ არველაძე და ათანასე რამიშვილისაგან. ქუთაისიდან—პრ. გუჯ.—საგან დამუხიანის რაიონის ამხანაგებისაგან.

თფილისი, 15 აგვისტო

„დროებამ" „ერობის შემოღების" საკითხში ჩვენში ოპორტიუნისტული, ყალბი პოზიცია დაიჭირა, მთელი თავისი მოქმედება ცენზის შემცირებით, ირრიგაციის მოწყობის ადგილებით და ერობაზე ადმინისტრაციის ბატონობის რამდენიმეთ შესუსტებით განსაზღვრა. ჩვენ დემოკრატიზმის ასეთი უარყოფა დავუწუნეთ და ახლა, „დროება" გრძნობს რა თავის პოზიციის სისუსტეს და რყევას, ცდილობს მის გამაგრებას.

პირველათ ყოვლისა ის გმობს ჩვენს პრინციპიალურ პოზიციას საერობო საკითხში. რა დროს პრინციპზე ლაპარაკია, როცა „პრაქტიკულ რეფორმის შემოღებაზეა ლაპარაკიო". დაგიჯინიათ, პროგრამა მინიმუმი უნდა გამოვიტანოთო და მისი სავსებით განხორციელება მოვითხოვოთო. ეს ბოიკოტია ერობის, ეს დაღუპვაა საქმისო და სხვ. მას განსაკუთრებით არ მოსწონს, რომ ჩვენ ერობისთვის პოლიტიკური ფუნქციებიც საჭიროთ მიგვაჩნია, როგორც დემოკრატიზაციის აუცილებელი პირობა. ის ამას პრინციპიალურათ უარყოფს, ჩვენ პოლიტიკა სხვაგვარ ადგილობრივ თვითმართველობებისთვის გვინდა, აქ კი, საქმე უბრალო დაწესებულებების შემოღებაზე მიდგა, „ჩანგი" „ავტონომიების დროშას აფრიალებსო" და ამას იმით ხსნის, რომ არ უნდა ჩვენი მსგავსი აზრის გამოთქმა დაურჩესო. რომ „დროების" და ჩვენი შეხედულება ერობაზე განსხვავებულია, დიდი ხანია ცნობილია და ამის გარკვევას აქ არ გამოვუდგებით. ერობა ჩვენი აზრით უნდა იყოს არა მხოლოდ წმინდა ეკონომიური დაწესებულება, არამედ კულტურული და მას უნდა ქონდეს პოლიტიკური ფუნქციებიც. ამით განირჩევა ჩვენი პროგრამა ყოველგვარ ფედერალისტებისა და ავტონომისტების პროგრამისაგან. ერობამ თავის გაფართოვებული ფუნქციებით უნდა დააკმაყოფილოს ადგილობრივ ერთა კულტურული მოთხოვნილებები, „დრ." აზრით კი, ამისთვის მთელი სახელმწიფო უნდა ფედერაციებათ იქცეს. ესაა პრინციპი ფედერალიზმის, ჩვენი კი დემოკრატიული ცენტრალიზმის, მარა დავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ ისევ ერობაზე.

„დროებას" გონია, რომ ჩვენ დღევანდელ პირობებში ასეთი პროგრამა არ უნდა წამოვაყენოთ და საზოგადოთ, პროგრამა მინიმუმზე არ უნდა ვილაპარაკოთ.

ჩვენ მიერ წამოყენებული ერობის პროექტი ხომ სულ. არარათ აქცია: „დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ამგვარ ერობაზე ლაპარაკი ნამდვილი უტოპიაა, ტყუილ-უბრალო სიტყვის რახა-რუხია და ნუ თუ მაინც საჭიროთ სცნობს ფანტაზიების დროშის აფრიალებას, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ იმ დრონინდელ დემაგოგობისაგან ვერ დაუხწევია თავი"... მარა „დრ." არც თავისი საკუთარი დემოკრატიული პრინციპები დაინდო. ცენზის საკითხის შესახებ სწერს:

...ჩვენ პრინციპიალური მომხრენი ვართ ცენზისა, არა, ჩვენ საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრენი ვართ... როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმართველობის დაწესებულებებში, მაგრამ ცენზის უკიდურეს შემცირებას ვურიგდებით, რადგან გვესმის, რომ დღეს, პროგრამა-მინიმუმზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ პრაქტიკულ რეფორმის შემოღებას ეპირებიან".

მაშ, როდისაა საჭირო პროგრამა-მინიმუმზე ლაპარაკი? როცა პრაქტიკულ რეფორმის განხორციელებას არ ეპირებიან? ესე იგი, როცა ცალიერი სიტყვებისა და დაპირებების მეტი არაფერი ეხარჯებათ?

ამნაირათ გამოდის, რომ პრინციპი ერთია და პრაქტიკა მეორე. პირველი არსებობს ქაღალდზე დასაწერათ, პროგრამაში და გამოსაცხადებლათ უნდა უარყოფილ იქნეს, როგორც კი პრაქტიკულათ რეფორმის შემოღების დრო დადგება. აქ, მაშასადამე, უპრინციპოთ უნდა ვიხეტიალოთ, ვეძიოთ რას მოგვცემენ და ის მოვითხოვოთ. ასეთია ახალი სიბრძნე „დროების" რედაქციის აი, მისი სიტყვებიც: „რუსეთის **დღევანდელი მთავრობა** აპირებს ჩვენში ერობის დაწესებას და ჩვენი მოვალეობაა ვეცადოთ—რაც შეიძლება უფრო ხეირიანი ერობა იქნას დაწესებული, რაც შეიძლება დღევანდელ პირობათა მიხედვით, და არა ჩვენის მინიმუმ-პროგრამების მიხედვით".

აქედან ცხადია, „დროება" თხოულობს არა იმას, რაც მის პროგრამაში სწერია, ე. ი. ხალხის ინტერესები მოითხოვენ, არამედ იმას, რის მიღებაც შეიძლება დღევანდელ პირობებში. ამას ეწოდება ოპორტიუნიზმი და თავისი პრინციპების დახურდავება, პრაქტიკულ მოქმედებაში უპრინციპობის გაბატონება. ასე იქცევიან ლიბერალები, ასე იქცევიან გუჩკოვები. ისინი პროგრამას ივიწყებენ და იმას აკანონებენ, რაც დღეს შეიძლება დაკანონდეს, მარა ამით მხოლოდ საყვედურს იმსახურებენ. ასეთ გზას ადგია „დროებაც", მარა ის მაინც გაიძახის „ჩვენი პოზიცია საერობო საკითხში ნათელია და გადაჭრით ვაცხადებთ, რომ დღევანდელ პოლიტიკურ კონიუნკტურაში ყველა დემოკრატმა ამავე გზით უნდა იაროს".

საყოველთაო არჩევნების უარყოფა და ცენზის მიღება თურმე დემოკრატიზმი ყოფილა! და ჩვენ კი ეს არ ვიცოდით.

იგი გვარწმუნებს, რომ ამას სჩადის ხალხის საკეთილდღეოთ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარების გამო, რომ ის მაინც მიიღოს, რის მიღებაც შეიძლება, მარა წარმოიდგინეთ, აქაც მას ბედი მტყუნობს და ამას თავის პირითვე აღიარებს. „განა ჩვენი უმცირესი ცენზი „ბოძების", ადვილათ მიღწევის პროგრამასა გავს? განა „ჩანგმა" არ იცის, რომ დღევანდელი სათათბიროსათვის ასეთი უმცირესი ცენზიც „რეალური პოლიტიკა არ არის"? ანდა ქვევით: „ჩანგმა" ისიც იცის, რომ დღევანდელ სათათბიროსთვის 1864 წლის ერობაც არაა „რეალური პოლიტიკა".

დიახ, ეს იცის „ჩანგმა", უნდა იცოდეთ თქვენც, მარა გეკითხებით: თუ ამის განხორციელების იმედიც არ გაქვთ, თქვენს პროგრამას და ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებს რაზე უღალატეთ? თქვენ აკი ჩვენგან სრულ პროგრამის წამოყენებას ფანტაზიას უწოდებდით, ამ საბუთით უარყოფდით? ახლა კი გამოდის, რომ თქვენი წამოყენებული ცენზი და სხვა რეფორმებიც განუხორციელებელი ყოფილა? განა ამისთვის ღირდა პრინციპის ღალატი? მარა თქვენ გაიძახით: ჩვენ გვინდა საზოგადოებრივი აზრი შევამზადოთ 64 წლის ერობათა შესწორებებით, მასალებით გვინდა ჩვენ ლიბერალებზე ვიმოქმედოთოო, მარა ეს საბუთათ არ გამოდგება.. ნამდვილათ, თქვენ კი არ მოქმედებთ მათზე, არამედ მათ იმოქმედეს თქვენზე და თავიანთ პრინციპზე გადაგიყვანეს, მარა, როგორც სჩანს, მოქმედებაც არ იქნებოდა საჭირო, ვინაიდან თქვენ თვითონ დააგდეთ თქვენი პრინციპები და ასე უპრინციპობის მორევში შესცურეთ.

უკანასკნელათ თქვენ სწერთ: კ. ჩხეიძეს, მასალები რომ მივაწოდოთ ცენზის შესახებ, ის თავზე გადაგვაყრის „თუ თქვენი აზრისაა და საყოველთაო არჩევნების დაცვას შეუდგაო. მარა იმედოვნებთ, „რომ ის ასე არ მოიქცევა, რადგან ის რეალურ ნიადაგზე სდგას და უყურებს რა ხდება მის გარშემო". ტყუილი იმედია, კ. ჩხეიძე ცენზს არ დაიცავს, არამედ სწორეთ საყოველთაო საარჩევნო სისტემას გამოექომაგება. ეს ერთი. მეორე, ის, მიუხედავათ ამისა, ცენზის დასაბუთებულ მასალას თავზე არ გადმოგაყრისთ, არამედ მასაც გამოიყენებს, მარა მიაწვდით კი?

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო.

სპარსეთი.

თეირანი. წარუდგინა რა შაჰს რწმუნების გრამოტა გერმანიის ელჩმა რევენტლმა სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა რა, რომ გერმანიას არა აქვს სპარსეთში პოლიტიკური ინტერესები განაცხადა, რომ მზათ არის ხელი შეუწყოს სავაჭრო დამოკიდებულებას ორივე სახელმწიფოთა შორის.

თეირანის სამხედრო კომისია აღნიშნავს გაზეთებში, რომ საჭიროა სამხედრო ძალის შექმნა, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქნენ ინსტრუქტორები პოლიტიკურათ არა დაინტერესებულ ქვეყნისაო.

ოსმალეთი

სტამბოლი. მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა სახელმწიფოთათვის საპასუხო ნოტის ტექსტი. მას დღეს ჩააბარებენ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. პორტა ირწმუნება, რომ მას არავითარი აზრი არა აქვს სამხედრო ზომები მიიღოს საბერძნეთის წინააღმდეგ, ის დაკმაყოფილდა იმ პასუხით, რომ მაკედონიის რეფორმა, ბერლინის ტრაქტატის თანახმათ, თვით ოსმალეთის მიზანს შეადგენსო.

სალონიკი. მაშველი ჯარის მოსვლისთანავე ჯარმა გაფანტა უსკიუბში ალბანელთა ბრბო. გადასახადებს ეგზეკუციის საშუალებით კრეფენ.

რუსეთი

ნოვოჩერკასკი. ქალაქიდან სამი ვერსის მანძილზე თოფით დასჭრეს კაზაკი.—სოფ. კარტუშინაში ოთხი მძარცველი თავს დაესხა მამასახლისის სახლს. გადააგდეს რამდენიმე ყუმბარა. სასიკვდილოთ დაიჭრა მამასახლისი, ცოლი და ორი ბავშვი. გაიტაცეს 300 მანეთი. ორი მათგანი დაიჭირეს.

ვოლოგდა. გუშინ დილით სოფ. უსტიეში შვიდი მძარცველი თავს დაესხა ნიკოლაე-

ვიჩის კანტორას. სროლის დროს ერთი მათგანი მოკლეს, ორი ტყისკენ გაიქცა, ორი კუნძულისკენ, საიდანაც დიდხანს ისროდნენ, ბოლოს ორივე დაიჭირეს. დაჭრილია ნიკოლიჩევის ორი მოსამსახურე. წაიღეს 800 მ.

კოსტრომა. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლიკოშკინმა ინახულა კინეშემსკის და ნერეხტსკის მაზრები და გაეცნო მიწების საქმეს.

აბედიტოვი. ცეცხლმა გაანადგურა ოცი სახლი. დაიწვა პოლიციის სამმართველო. ზარალი დიდია.

ტაშკენტი. ქ. ვერნში შემდგარმა საეპარქიო სიეზდმა დაადგინა გახსნას თურქესტანის მაზრაში ნორმალური სასულიერო სემინარია, ძველი ენების მაგიერ ასწავლიან არაბულს და სპარსულს.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავათ გახდა 21, მოკვდა 11, ავათ არის 329.

ვიტებსკი. უკანასკნელ დღეებში ხოლერით ავათ გახდა 26, მოკვდა 6. ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 114, მოკვდა 42.

ოდესსა. 8—12 აგვისტომდე ავათ გახდა 6, მოკვდა 4.

კოსტრომა. ავათ გახდა 1.

ყირიმი. ავათ გახდა 1.

საზღვარ-გარეთ

ბორდო. დაიჭირეს რუსი სტუდენტი დამბაშიძე, რომელსაც 1907 წელს ერევნის მოედანზე ფულის გატაცებაში მონაწილეობას აბრალებენ.

პარიჟი. რადგან საზეინებმა არ შეასრულეს დანაპირები აკორდით მუშაობის შესახებ, 4000 ქვის მუშამ დაადგინა გაფიცვა გამოაცხადოს.

კოპენჰაგენი. ფოლკეტინგმა გუშინ ისევ დაიწყო სახელმწიფოს დაცვის კანონ-პროექტის განხილვა. მინისტრ-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა კოპენჰაგენში სიმაგრის აგება.

ვენა. „კორ. ბიურ.“ ატყობინებენ ბელგრადიდან, რომ რადგან იუსტიციის მინისტრს უთანხმოება მოუვიდა შინაგან საქმეთა მინისტრთან სათემო არჩევნების შესახებ შაბაცში, მან სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. როგორც ხმები დადის, მინისტრ-პრეზიდენტიც გადადგება.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი.

ხმები კრიტის განაწილების შესახებ. ბერლინის გაზეთების სიტყვით ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში ამ ბოლო დროს ის აზრი იკიდებს ფეხს, რომ მფარველი სახელმწიფოები ყოველგვარ საშვალებას ხმარობენ კრიტოსი დაამშვიდონ, ხოლო შემდეგ ურთიერთ შორის გაინაწილონ და თან ოსმალეთიც „ამა თუ იმ“ გზით დააკმაყოფილონ.

ბოიკოტის შეჩერება. „ბ. ვ.“ სიტყვით სტამბოლში ბერძნების საქონლის ბოიკოტი შეაჩერეს.

იარაღის აღმოჩენა. ხალკედონის ნახევარ კუნძულზე მრავალი იარაღი და საომარი მასალა აღმოუჩენიათ. იარაღი ბერძნების ყოფილა. მცხოვრებლების იარაღის ჩამოსართმევათ სალონიკიდან ჯარი გაიგზავნა.

სპარსეთი.

პეტერბურგი უკმაყოფილოა! სპარსეთის დროებით უზენაესმა კომისიამ ახალგაზრდა შახის ერთი აღმზრდელთაგანი სმირნოვი, თავის მოვალეობიდან დაითხოვა. ამ განკარგულებამ პეტერბურგის დიპლომატიური წრეები ძალიან გააწყენა. პეტერბურგის და თეირანის კაბინეთების დამოკიდებულება ამის გამო საგრძნობლათ გამწვავდა. რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ ჯერ არაფერი ისმის.

შახს ელიან! ყოფილ შახს ადესაში მოელიან. დაიქირავეს პოლონელი ბრჟეზოვსკის სასახლე გოგოლის ქუჩაზე. შახს 20 აგვისტოს მოელიან.

ეფრემის წინადადება. „ბაქო“-ს სიტყვით, ეფრემს წინადადება მიუცია დროებითი მეჯლისისათვის მისცენ მას 200 კაზაკი, 250 ფიდაი და 200 ბახტიარი. ამ რაზმით ის გაემგზავრება ზენჯანში, არდაბილში, დაიმორჩილებს შახსევანებს და ბოლოს მოუღებს მათ ძარცვა-გლეჯას.

რუსეთი.

ზუბატოვშჩინის აღდგენა. როგორც ვიცით, გასულ წლებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ცნობილმა ზუბატოვმა პროვოკაციული მიზნით სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციები მოაწყო. მუშებმა მალე გაიგეს ზუბატოვის მიზანი და კავშირებიც, მიუხედავათ უხვი მატერიალური დახმარებისა, დაიხურა. ეხლა შავრაზმული გაზეთი „კოლოკოლი“ იუწყება, რომ პეტერბურგში მალე გაიხსნება ახალი მუშათა ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის წევრათ მიიღებენ მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან, ან რაიმე „პრივილეგიის პროფესიას“ ეკუთვნიან. დამაარსებლები ვითომ იმ აზრის არიან, რომ ორგანიზაცია ყოველგვარ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. წევრები თავმდებობით მიიღებიან.

ბურცევის ახალი პლანი. ბურცევი, გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში ახალ-ახალ პროვოკაციულ ცნობებს გამოამჟღავნებს ფინლიანდიის შესახებ. ამასთან ერთათ ის დასტამბავს რუტენბერგის (გაპონის მკვლელობას სწამებენ) და ცნობილ ტერორისტ სავინკოვის მემუარებს.

ოქტომბრისტების სიეზდი. „რეჩის“ სიტყვით, ოქტომბრისტების მესამე სრულიად რუსეთის სიეზდი მოხდება ოქტომბრის პირველ რიცხვებში და გაიხსნება მოსკოვში. 15 აგვისტომდე ადგილობრივმა განყოფილებებმა უნდა წარადგინონ გასარჩევ კითხვათა წეს-რიგი.

გადასახლებულების მდგომარეობა. „რეჩს“ სწერენ პრიანგარიიდან: ნახევარ წელზე მეტია, რაც გადასახლებულებს არავითარი დახმარება არ მიუღიათ ხაზინიდან, რის გამო, ისინი სანახევროთ შიმშილობენ. ბევრ სოფლებში მათ გლეხები ნისიათ არც ბინას აძლევენ და არც საჭმელ-სასმელს. დიდი უმეტესობა ისეთ გაჭირვებას განიცდის, რომ სიკვდილი სანატრელათ აქვთ.

საზღარ-გარეთ.

გაფიცვა შვეციაში. თუ ზოგიერთი რუსეთის გაზეთების უკანასკნელ ცნობებს დავუჯერებთ, გაფიცვა სადაცაა მალე დასრულდება, მიუხედავათ შვეციის მუშების განსაცვიფრებელი სალიდარობისა და სხვა ქვეყნების საერთო უხვი ამხანაგური დახმარებისა. ფიქრობენ, რომ გაფიცვაში მაინც მრეწველები გაიმარჯვებენ. ამის მიზეზათ ბურჟუაზიული გაზეთები, სხვათა შორის, იმას ასახელებენ, რომ საშუალო „გარდამავალი“ კლასის თანაგრძნობა ამ ბოლო დროს მრეწველებისაკენ გადაიხარა. გაფიცვის პირველ ხანებში მთელი მათი სიმპატია გაფიცულების მხარეზე იყო. ყოველივე გაფიცვის კომიტეტის ხელში იყო. კომიტეტის ნება დაურთველათ არავის არ შეეძლო ერთი წუთით მაინც რაიმე სამუშაო დაეწყო. მთავრობაც დაიბნა და აღარ იცოდა რა ექნა. ყველაზე უფრო, უსინათლობა აჭირვებდა საქმეს. ყველაზე უწინ ტრამვაის ვაგონებმა დაიწყეს აქა-იქ მუშაობა. კანდუქტორებათ „დობროვოლცები“ გაჩნდენ. სასაცილო სანახავი იყო ცნობილი კომიკ-არტისტი კონდუქტორის როლში ვაგონზე, რომელიც მოჰყავდა იმავე თეატრის სუფლიორს. „დობროვოლცებმა“ გემების წაყვანაც სცადეს, მარა მგზავრები არ ენდვენ და მიმოსვლის განახლებაც შეუძლებელი გახდა. შტრეიკბეხერი მუშები ძალიან ცოტა იყო წინეთ, მაგრამ ბოლო დროს მათი რიცხვი იმდენათ გაიზარდა, რომ გაფიცულები იძულებული იყვნენ მათ წინაამდეგ მანიფესტაცია მოეხდინათ. ასი ათას გაფიცულთაგან მხოლოდ რამდენიმე ათასმა დაიწყო მუშაობა. თუ იმავე გაზეთების ცნობებს ვერ წმუნებით, თვით მუშათა ორგანიზაციებს ემჩნევა გაფიცვის ლიკვიდაციის სურვილი. როცა მრეწველნი ხედავენ ასეთ რყევას, კიდევ უფრო შეურიგებელი ხდებიან და ყოველგვარ დათმობაზე უარს ამბობენ. მათ განუზრახავთ, როგორც კი გაიმარჯვებენ, სასამართლოს საშუალებით გადაახდევინონ გაფიცვიდან მიყენებული ზარალი მუშათა ორგანიზაციებს, მაგრამ მათდა სამწუხაროთ, შვეციის კანონის ძალით, მუშათა ორგანიზაციები ასეთ შემთხვევაში არავითარ პასუხს არ აგებენ. ეს კარგათ იციან თვით მრეწველებმა და აი, ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლათ, დეპუტატთა უმრავლესობას განზრახვა აქვს ასეთი კანონ-პროექტი შეიტანოს რეიხსტაგის არა ჩვეულებრივ სესიაში. ამ კანონის მიღება და მისი ცხოვრებაში გატარება, ერთავათ განადგურებას უქადის მუშათა ორგანიზაციებს. ვნახოთ, რას ევტყვის მომავალი ცნობები.

იგლესიასი ცოცხალია. ადვოკატი იგლესიასი, ისპანიის რევოლიუციის ერთი უმთავრესი ხელმძღვანელთაგანი, ცოცხალი აღმოჩნდა. წინათ სწერდენ, რომ ის გაუსამართლებლათ დახვრიტესო. ის ციხეშია დამწყვდეული. „ფრან. ცაიტს“ კორესპონდენტს უნახავს ის ციხეში. იგლესიას უთხოვია მისთვის, ისპანიის რევოლიუციის იდეალისტური ხასიათის აღსადგენათ გამოაცხადოს, რომ აჯანყებულებს ხელი არ უხლიათ და არ დაუნგრევიათ არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა და არც ერთი მაღაზია. თითქმის, ცეცხლ მოკიდებულ მონასტრებშიაც კი არ უხლიათ ხელი ქონებისათვის და თუ ვინმე კერძო პირმა რაიმე სისაძაგლე ჩაიდინა, მათ მაგიერ ისპანიის რევოლიუცია პასუხს არ აგებს, ისე, როგორც პასუხს არ აგებს იტალია მესსინის ხულიგანების მოქმედებაში.

პატარა ფელეტონი

ნახული და გაგონილი.

ამას წინათ [illegible] ოთახიდან გამომაგდეს და ვიღაცით აქეთ-იქით მარბენინეს, [illegible] მარცხს და ფათერაკს წავაწყდი, რომ მას შემდეგ გარეთ გამოსვლა მეშინოდა.

„სული ობოლი“, მარტოობით მოწყენილი ამიჯანყდა და ისევ გარეთ გამომაგდო. თუმცა ძალიან მძულს ეს ოხერი ღამე, მარა დღისით სიარულით დაშინებულმა, მაინც ღამით ვარჩიე გასეირნება.

ჩვეულებრივი ღამე იყო. აი, ისეთი, როგორიც ყოველთვის და ყოველგან იქნება, რომელიც შეადგენს „ცხოვრების ოქროს ჯაჭვის ბრჭყვიალა რგოლს“, როგორც ამბობენ პოეტნი. ღამე, რომელიც „თავის რბილი და უფერული საბანით მოსვენებას აძლევს მაშვრალთ და ტვირთ-მძიმეთ“, როგორც ამას ასე ალტაცებით მღერიან იგივე პოეტნი. ღამე, რომელიც ბრძენთა და ფილოსოფოსთა მტკიცებით, შექმნილია მხოლოდ იმისთვის, რომ ოქროს ფრთოსანმა ანგელოზებმა ჰაერში ინავარდონ, დაღლილ-დაქანცულთ წყნარი ძილი და ტკბილი სიზმარი მოჰგვარონ; ღამე—ეს ეზუიტურათ წყნარი, მუდამ ეშმაკურათ და ცბიერათ ვერცხლის ღიმილით მომღიმარი.

ღამე, რომლის განუყრელი თანამგზავრია მთვარე,—ეს ქარაფშუტა კეკლუცი, რომელიც მუდამ იღიმება, არშიყივით თვალებს უპაჭუნებს ყველას და თვითოეულს; ბნელ ალლეებში, ხეებს ქვეშ, ზღვის პირათ, ერთი სიტყვით, სადაც კი შესაძლებელია, „სვიდანიებს“ უნიშნავს!

რატომ აქებენ მას პოეტნი და ფილოსოფოსნი?! რა ნახეს მასში საქები?! რატომ სტყუიან აგრე ყველა ეს ფილოსოფოსნი და პოეტნი!?...

მაშ ასე. ღამე იყო. გარეთ ისევ ცხელოდა. ქუჩებში ჯერ ისევ მტვერის ბუღი იდგა. ყველაზე უწინ ქალაქის ხმოსნების ხროვა შემხვდა და დაძმარებული მკითხეს: გეთაყვა, ქუჩების მორწყვის პროექტი დაგვეკარგა, არ ვიცით თაგვმა მოგვპარა, არ ვიცით ქარმა წაგვართვა. იქნებ იცოდე რამე, რომ მიგვასწავლო—სად, ვის ექნებაო.

რას ვეტყოდი სანუგეშოს, როცა არც კი ვიცოდი თუ ასეთი პროექტი არსებობდა. გაჯავრებული გამოვეთხოვე და ქვევით გავსწიე.

საპყრობილეში

V

3. საერთო კამერაში.

(გაგრძელება)

—შეხეთ, შეხეთ! ქალები! ქალები მოდიან! ყვირის, იძახის ვიღაცა, რომელიც ფანჯარაზეა გადაწოლილი,—შეხედეთ რა კარგებია... ახ, თქვენი...

—სად? სად არის? გაისმა გარშემო და ტუსაღების უმრავლესობა ფანჯრისკენ გაექანა, მაგრამ ყველა ვერ მოთავსდა ფანჯარასთან, რის გამო ატყდა დავა, წაჯიქავება... უწმაწური, ცინიკური სიტყვები, აირია სიცილ-ხარხარი ლანძღვაში. სახე გაწითლდა, თვალებში დაინთო ცეცხლი, არჩვეულებრივი აღელვება, არა-ჩვეულებრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სნეული გამოცოცხლება, არაჩვეულებრივი სიცილი, თვალები... სადღაც მინახავს, ამას გარდა ყველა ეს, სადღაც მინახავს... სადღაც მინახავს, მაგრამ უცებ არ მაგონდება სად. ნუ თუ ისევ აქ, საპყრობილეში? ან და სხვა რომელიმე საპყრობილეში? აჰ, ვიცი, ვიცი, მაგონდება...

ამ ბინძურ კამერაში, სადაც ყოველივე საშუალებას ხმარობენ, რომ ადამიანი გააპიროტყვონ, მზგავსება და ხატება ღვთისა დაუკარგონ, გააბოროტონ ის, ამ ბინძურ კამერაში ჩემ თვალწინ დგება ვეებერთელა, მდიდრათ მორთული, დინჯი დარბაზი. ჰაერი იქ გაჟღენთილია ძვირფასი სუნნელოვანის წყლების სუნით, სიმდიდრე, ფუფუნება გამოფენილია თვითეულ ფეხის ნაბიჯზე, დადიან იქ ზრდილობიანათ და დინჯათ, ლაპარაკობენ წყნარათ, ერთი უწმაწური სიტყვა, რა თქმა უნდა, არ წამოცდებათ. გამოცდილ სახეზე იმათ ძლივს შეამჩნევ მოუთმენლობას... დადიან, მხოლოდ ხანდახან ჩაიხედვენ საათში. აჰა, ისმის ნანატრი წკრიალი ელექტრონის ზარისა, ვიღაც უხილავი, ვიღაც ცელქი და მხიარული კისკისებს რამდენიმე ალაგას, ჩქარა, ჩქარა კისკისებს, შემდეგ ჩერდება და რამდენიმე წამს შემდეგ სამჯერ წკრიალებს. დინჯი, სუფთა და ზრდილობიანი ადამიანები მიეშურებიან სკამებისკენ. მუზიკა იწყებს რაღაც ნელსა და მომხიბლავ სიმღერას, ხმები ამბობენ რაღაც მიუწდომელ ნეტარებაზე, რაღაც გპირდებიან, გრძნობებს გიშლიან, გიღიზიანებენ, ვერც კი ამჩნევ როგორ იშლება ფარდა, როგორ დგება თვალ-წინ ახალი სანახავი, ახალი მორთულობა, ზღაპრული, მომხიბლავი სცენა... თითქოს ცურავობს რაღაცა, თითქოს გიწოდებს შენ თავისკენ... ამ დროს, მუსიკის ნელ ხმაზე, გამორბის, არა მოფრინავს ვიღაცა დედიშობილა (მე დღემდის მგონია, რომ ის ტიტველი იყო, ისეთი ილიუზია დაბადა ჩემში მისმა ოსტატურმა ტანსაცმელმა), მიდის პარტერთან ახლო და იღიმება, ესალმება პარტერს, გალლერეიებს, ლოჟებს, დგება ცალ ფეხზე და სრიალებს, ხოლო მეორე ფეხს სწევს მაღლა, ათამაშებს მას ჰაერში, აქნევს გარშემო, თითქოს ლოცვა-კურთხევას უგზავნის თავის სამწყსოს.

—ბრავო! ბრავო! ბრავო! ისმის ტაშის ცემა... ვაკვირდები პარტერს და მოულოდნელათ ვხედავ, რომ ის თითქმის გამელოტებული ხალხით არის სავსე. ვაკვირდები სახეებს, აი, იქ ამ ბებერს, ჩასუქებულ ბებერს ბაგეებზე რაღაც წურწკლის მაგვარი ჩამოსდის, თვალებში კი... არაოდეს არ მინახავს მე ისეთი აშკარა, ისეთი მარტივი გამომეტყველება მალული, ცინიკური სურვილებისა... ზიზღით გადამაქვს თვალი მეორე სკამზე, მესამეზე, მაგრამ თითქმის ყოველგან ერთი და იგივე, ერთი და იგივე წურწლი ბაგეზე და ერთი და იგივე სურვილები თვალებში და მაგონდება ზარატუსტრა, რომელიც ასე ამბობდა: „შეხედეთ ამ ხალხს: მათი თვალები ამბობენ, რომ მათ არ იციან არაფერი უკეთესი ქალთან წოლისა“.

სწორეთ იქ, ბალეტში, ვნახე ერთხელ რაღაც ამ გვარი. იქიდან, რა თქმა უნდა, გავიქეცი, მაგრამ სად უნდა წავიდე აქედან, რა შემიძლია?

—ოჰო, ჰო, ჰო! რა ფეხები აქვს, რა თეთრი და მსხვილი წვივები! ახ შენი... შენი!.. ისმის უწმაწური ხუმრობა და ხარხარი.

ეს ჩვეულებრივი მოვლენა როდია, ქალების დანახვა აქ. ქალების განყოფილება ცალკეა და ისეა მორთული, რომ სადაც უნდა წაიყვანონ ისინი—კანტორაში, აბანოში თუ სამრეცხაოში, მამაკაცები იმათ ვერ გადაეყრებიან... დღეს კი რაღაც შემთხვევით ქალები გაატარეს ჩვენ ფანჯარის გადაღმით. ეს იყვნენ მრეცხავი, სალი, ჯანმრთელი და ღონიერი რუსის ქალები. მათაც, რა თქმა უნდა, უხარიათ მამა კაცების დანახვა, ამიტომ ისინი განგებ ნელი ნაბიჯით მიდიან, განგებ იმაღლებენ ხმას, ხმა მაღლა იცინიან, კისკისებენ. იცქირებიან ფანჯრებისკენ და დაინახვენ თუ არა ტუსაღს, უკეთებენ მას თვალს, აძლევენ რაიმე ნიშნებს, უმეტის შემთხვევაში ცინიკურს, რაზედაც ესმით არა ნაკლებ ცინიკური ხმა:

— ახ, თქვენი...

კაბის ქვევით, ტიტველ ფეხებზე რაღაც ქოშის მაგვარი აცვიათ, რომელსაც სატუსაღოში ეძახიან „კოტებს“.

—გამარჯობა ქსენია! უცებ იძახის ალია დამტვრეული რუსულით. ქალებმა დაინახეს ის და ასტეხეს სიცილი. მათაც იციან ალიას ისტორია, ისე, როგორც ყველა ტუსაღებს და რა, თქმა უნდა, ყოველთვის, როცა კი მას დაინახავენ წამოსძახებენ ხოლმე მას. ალია განსაკუთრებით მათი კარგი ნაცნობია. ერთ დროს ის დანიშნეს მეეზოვეთ. მეეზოვეს მოვალეობა სატუსაღოში, არის ეზოს დაგვა, შეშის დაჭრა და აბანო-სამრეცხაოში მიტანა, წყალის გათბობა იქ და სხვა ასეთი. ჩამოართვეს მას ეს თანამდებობა იმიტომ, რომ ერთხელ სცადა ტუსაღიდან ტუსაღისთვის წერილი გადაეცა, ხოლო, როცა წერილი წაიღო იმავე ტუსაღმა, ვინც იმას წერილი გაატანა, გაიგებია ეს ციხის უფროსს. ალიას ალაგის დაკავება უნდოდა მას, მეეზოვობა. გაჩხრიკეს ალია, უნახეს წერილი და, რა თქმა უნდა, დაკეტეს ჩვენთან. წინდაწინ კი, ერთი კვირაც კარცერში გაატარებიეს.

— გამარჯობა ქსენია, როგორ ხარ... დაუყვირა ალიამ.

— ეს რა ამბავია... ეს რა ამბავია... ძირს ფანჯრიდან!.. წამოესწრო პაპაშა,— წყეული, თვალს ააშორებ თუ არა, ისინი ფანჯარაზე... ძირს ფანჯრიდან.

ამასობაში ქალებსაც წაუჯიქავეს და ჩქარა ისინიც მიიმალენ.

— პაპაშ, საცოლო მყავს აქ, არ მანახებენ თუ იცი?

— აი წავალ კანტორაში და გაჩვენებ საცოლოს! იმუქრება პაპაშა.

— ეჰ, მისი... ამოიოხრა ალიამ, როცა პაპაშა კარებს გაშორდა.

— რას ამბობ შენ შალაბაკო... დაიყვირა ვიღაცამ და სრულიად მოულოდნელათ წამოვარდა ფეხზე, გაჯავრდა.

— თხაი ხომ არ გგონია იგი...

რამდენიმე ტუსაღმა ამას გარდა კიდევ იცნო თავი შეურაცხყოფილათ.

— ძროხა! ვირი!.. მუტრუკი.. **Бык американскій!** მიაყარეს მას.

— რა იცი შენ ქსენიას შესახებ, რა იცი შენ ვირო!—

— ვიცი... მშვენიერათ, ვიცი!

— თქვი საიდან იცი... აბა ერთი თქვი.

— ვიცი... მეეზოვე, რომ ვიყავი, მე შეშა დამქონდა სამრეცხაოში.

— მერმე რა, შეშა თუ მიიტანე, შიგ ვერ შეხვიდოდი, ქალებს იქ კარები დაკეტილი აქვს. შენ მხოლოდ კარებთან უნდა დაეწყო შეშა.

— არა, მე ხომ შეშა მივიტანე. მაშინ კარები, მართალია, დაკეტილი ქონდათ, მარა ზედამხედველი ქალი იქ არ იყო, შეშა სჭიროდათ და მე ფანჯრიდან ვაძლიე მათ შეშა თითო ღერი. ქსენიას ვაძლევდი ხელში. სამრეცხაოში სიცხე იყო და წელზევით ქალები თითქმის ტიტველი იყვნენ. მე ვერ მოვითმინე, გავწიე ხელი და ქსენიას ყელში მოვუჭირე...

ტუსაღებს თვალები გაუბრწყინდათ, ბაგეები აუთამაშდათ.

— ახ, შენ ღორო, შენ ბლაბაკო... სტყუის, სტყუის ეს წუწკი... რა გითხრა შენ მუტრუკო ქსენიამ, არ გაჯავრდა, არ შეგაგინა?

— რათ გაჯავრდებოდა! ჩაიხვიხვინა ალიამ და თავისი გძელი ბინძური კბილები დააჩინა,—გაჩერდა, ერთ ხანს დამანება... მე მოუჭირე უფრო მაგრათ ხელი, მოვთელე... გაწითლდა, გაწითლდა სახეზე...

— სტყუი შენ ღორო.. გაჩუმდი, თვარა ეს არის დაგინაყე ცხვირი.

გათიშეს ისინი, თორემ ალიას გალახავდენ, თუ, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არ დასძლევდა სიმხდალეს და თავის ფენომენალურ ძალას არ გამოიყენებდა... საინტერესო აქ ის იყო, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა თუ რათ გაუჯავრდენ ალიას, რას ერჩოდენ მას. ქსენია პროსტიტუტკაა, დატუსაღებულია იმიტომ, რომ ვიღაც „სტუმარს“ ძილის დროს ხუთი მანეთი მოჰპარა.

ხმაურობაზე მოირბინა პაპაშამ და რა შეატყო, რომ ჩხუბს მართლა ეპირებოდენ რევოლვერი ახლო, წინ მოსწია, რომ ბუდიდან ჩქარა ამოეღო თუ საჭირო იქნებოდა, გაჩერდა კარებთან და დაიძახა!

— დიდ ხანს გააგრძელებთ? რას ყიყინებთ როგორც ბატები? ხომ არ მოგეხასიათათ გვერდებში?.. არა, თუ მოგეხასიათათ თქვით და ბატონი ბრძანდებით!..

ხპ. მცირიშვილი.

(შემდეგი იქნება)

რაღაც ეშმაკათ „ტ. ლ.“ რედაქციაში შევუხვიე. ვიღაც ხანში შესულ კაცს ხელში ცული დაეჭირა, აწყობილ გაზეთიდან რაღაცას ფხეკდა და თან ხმა-მაღლა თანამშრომლებს ლანძღავდა: როგორ შეიძლება დაწერა: „მეტეხის ციხეში გარდაიცვალა“? რატომ არ გესმით, რომ ამით ჩვენ მთავრობას გავაჯავრებთ! ჩვენი გაზეთი სავაჭრო გაზეთია. ერთხელ დახურეს და ათასობით ვიზარალეთ და ეხლა რომ კიდევ დახურონ, ხომ სულ დავიღუპე. იქვე კარებთან ნორდი ატუზულიყო, მოხლვავებულ ცრემლებს ძლივს იმაგრებდა და ქვითინით ამბობდა: მე, მე, ღმერთმანი არ მინახავს. არ ვიცოდი არაფერი, თორემ, განა მე თვითონ არ ვიცი, რომ ასეთების წერა ჩვენს გაზეთში არ შეიძლება? თქვენ თქვენ ზარალს ამბობთ და მე კიდევ ჩემსას. რომ დახურონ, მე ხომ შიმშილით უნდა მოვკვდე. „ზაკავკაზიეში“ ხომ ვერ წავალ. იქ მარტო ლევანს იღებენ, მე კი სიახლოვესაც არ წამიკარებენ. ნორდის ცოდვამ მეც კინაღამ ამატირა და უკან გამოვბრუნდი. გამოსვლისას ბნელაში ვიღაცას ფეხი წავჰკარი და კინაღამ იატაკზე თხლეშა მოვადინე. აღმოჩნდა, რომ მეორე თანამშრომელი განცხადების ადგილს ზომავდა და რეკლამის ფულებს ანგარიშობდა. კაცო, რატომ სანთელს არ აანთებ და ისე არ იმუშავებ—ვეუბნები. დაიკარგე! მეტი ხარჯია...

როგორც იქნა, გარეთ გამოვედი და ქვევით გავწიე.

ქვაფენილზე ვიღაც ჩიტი-რეკია, მგონი ლობ—ძე იყო, ჯოხს მოათამაშებდა, შლიაპაზე ამკრა და ძირს გადამიგდო. გულმოსულმა ავიღე ქუდი და ხმა-მაღლა მივაძახე: Господинъ, на пару словъ! გაიგონა თუ არა, ისეთი მოჰკურცხლა, რომ თვალიც ვეღარ მოვკარი.

ცოტა ქვევით რაღაც ჰაეროპლანის მსგავს თვალი მოვკარი. გამეხარდა. ვიფიქრე, ცეპელინი ან ბლერიო მოფრენილა მეთქი და გავეშურე. მივედი და რაღას ნახავ! ორი ქალი შლიაპით, უკაცრავათ, ორი შლიაპა ქალით მოდის. აღარც შევჩერებულვარ. გულდაწყვეტილი ქვევით გავეშურე.

ჩემდა უნებურათ თეატრში შევუხვიე. სრულიად მოულოდნელათ არტისტების კრებას წავაწყდი. ერთი მათგანი გაცხარებით ამტკიცებდა: რა ვუყოთ, რომ დამსახურებული არტისტკა გაბუნია-ცაგარლისას დედა შეაგინეს. ეს ჩვენ არ შეგვეხება.

ამბობენ:—პროფესიონალური პატივ-ღირსება მოითხოვს, რომ ხმა ამოვიღოთ, შეურაცხყოფილს თანაგრძნობა გამოვუცხადოთ და ნანობაშვილი სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ. ყველაფერი ტყუილია. მე თვით გუნიასაგან მაქვს გაგონილი, ვინ იცის რამდენჯელ, რომ არტისტი მოქალაქე არ არის, რომ ის სხვის პიროვნებას კი არა, თავისასაც არ უნდა სცემდეს პატივს. ნანობაშვილის წინააღმდეგ გალაშქრება, ეს საკუთარი კუჭის წინააღმდეგ ომია. კუჭი და არტისტი კი—ეს ორი განუყრელი რამ არის. ამიტომ ამის შესახებ ხმის ამოღება—დიდი შეცდომა და ჩვენი პროფესიონალური ღირსების შელახვა იქნება. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა, საცა დაადოს ბაგესა თვისასა.

თავის თავის ასე გამათრახებამ გული მომიკლა და ძირს დავუხვიე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ კრებას წავაწყდი. კრება განიერ შარვლებიანი, მოკლე ახალუხიანი და კოზირიან ქუდიანი ხალხისგან შესდგებოდა. ყველას ხელში გრძელ-გრძელი დოშის ნაჭერი ეჭირა. ეტყობოდა, მეთევზენი იყვნენ. ერთს, ვიღაც ევროპიელ ტანისამოსში გამოწყობილს ხელში ღვინით სავსე ბაკალი ეჭირა და ხმამაღლა ამბობდა: ეს ღმერთმა გადღეგრძელოს თქვენ, გისურვებთ მთელი კავკასია თქვენი ყოფილიყოს, ეს „ძაღლის ენა“... ამ სიტყვების დროს ვიღაცამ დაიძახა:—ამირეჯიბი მოდისო.

შიშით აკანკალებული, კურდღელივით დაფრთხალნი, აქეთ-იქით გავიქეცით. გავირბინე ცოტა, დასწყევლოს ღმერთმა, ისევ კრებაზე არ მოვხვდი?! ტყუილათ კი არ ამბობენ—ღამე ადამიანის „ზრახვათა და მოქმედებათა“ მესაიდუმლეაო. კრებაზე თვით ან. ფურცელაძე დავინახე და დამსწრეებს უმტკიცებდა: რომ ხაზატუროვი არა, ჩვენი ბანკი...

ამ დროს ვიღაცამ ზემო სართულიდან მომაძახა:—ეხლავე ამოდიო.

ავირბინე და თვით „დროების“ რედაქციაში მოვხვდი. გაცხარებული მზადება იყო. ერთ ოთახში ერეკლესეულ ზარბაზნებს და კაჟიან თოფებს ფერავდენ. პურის ცომიდან ყუმბარებს ამზადებდენ. არტილერიის უფროსათ გუნია დაენიშნათ. მეორე ოთახში. თანამშრომლებს B ინგლისურბოქსს ასწავლიდა. ყველა ირაზმებოდა და ფურცელაძეს ემუქრებოდენ. დიდი ომი იყო მოსალოდნელი. შევშინდი და ძირს გამოვიქეცი. კიბეზე ვიღაც მოხუცი იჯდა. აბჯარი შემოგლეჯილი ჰქონდა, ხმალი ტარში გადატეხოდა და თვალცრემლიანმა მიამბო: ფურცელაძესთან ვიბრძოდი. სრულიად გამანადგურა. ხომ ხედავ რა დღე დამაყენა, მარა დამაცადოს. არც მას დააყრის ხეირს „დროება“-ო ინუგეშებდა თავს.

სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს თქვა—ვიფიქრე გულში და გაღმისკენ გავსწიე.

ქართველთა ამხანაგობის წინ ვიღაც ახალგაზდებს მოყვარა თავი და მოხუც ლიტოგრაფს ემუდარებოდენ: აბა ეხლა ჩემი! ცოტა ჩქარა, თორემ ღმერთმანი დავრჩებით და რაღა ეშველება საქართველოსო.

ახალგაზდები—ყველა პოეტები აღმოჩნდენ. გამიკვირდა ამდენმა აკაკიმ, როგორ მოიყარა თავი ერთათ-მეთქი! მიამბეს, რომ გამოდის „ახალი ჩანგი“ და ჩვენივე სურათი, ჩვენივე ხარჯით უნდა დავაბეჭდვინოთ და მით ხელი შევუწყოთ ხალხში ლიტერატურის და რჩეულ პოეტთა ნაწარმოებ-ვინაობის გაცნობასო.

— დიდ-კაცებს, საზოგადო მოღვაწეებს და პოეტის სურათს სხვები ავრცელებენ და არა თვითონ-მეთქი, გავბედე მეთქვა.

— ეს ასეა, მარა არა ჩვენში. აქ სხვაა. ხომ გაგიგონია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. აქ სხვები არ გვცნობენ, ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა უპატრონოთ ჩვენ თავსო. აშენოს ღმერთმა გაჩეჩილაძე, რომ უფულოთ ბეჭდავს ჩვენს სურათსო.

შენც პოეტი ხარ?—მკითხა ერთმა.

ღმერთმა მაშოროს-თქვა — და გავშორდი.

სულმა არ მომითმინა და „სორაპანის“ სტამბაში შევუხვიე. მიხა გულმოსული ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც გრიშაშვილი და გრი—გრი ამობრწყინდა, ვაჟას ვარსკვლავი უკვე ჩაესვენა. ის უკვე პოეტი აღარ არის და მისი ლექსებიც ზედმეტია „ახალი ჩანგისთვის“, ამიტომ რაც უნდა მიყოთ, მის ლექსებს მაინც არ მოვათავსებ, მით უმეტეს, რომ მან მე პირობა არ შემისრულა, ძველი ლექსები შემომაჩეჩა და აღარც სამოცი მანეთი შემარჩინა.

ამ დროს მიმინო შემოვიდა. გამიხმო და მთხოვა, რომ რაღაც სათარგმნელი მაქვს და დამეხმარეო. კუთხიდან რაღაც წითელმა გამოანათა. შევაქციე ზურგი და გარეთ გამოვვარდი.

უკვე დიდი ხანი გასულიყო. დაღალული სახლში წამოვედი. მადიანათ დავიძინე და საამური სიზმარი ვნახე, მარა კვირემდის ვერ გეტყვით...

ზინა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

სამხედრო ორგანიზაციის საქმე. როგორც ვწერდით, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოში გაირჩა ვლადიმერ კარაგიჩევისა, ვალენტინ მულინისა და ივ. პატიუხოვის საქმე, თფ. გრენადერთა მე-15 პოლკის ჯარის კაცთა ვასილ ხუნწარიასა და დათა დადიანიძისა, რომელთაც რ. ს. დ. მ. პარტიის სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობა ბრალდებოდათ. სასამართლომ დამნაშავეთ სცნო მულინი, კარაგიჩევი და პანტიუხოვი და მიუსაჯა პირველს ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და კატორღაში 8 წლით გაგზავნა, კარაგიჩევსა და პატიუხოვს თითოს 2 წლით და 8 თვით კატორღაშივე გაგზავნა. სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს კავკასიის ჯართა მთავარ-სარდლის თანამდებობის აღმასრულებელთან, რომ ორ უკანასკნელთ დანაშაული შეუმსუბუქდეთ. ვასილ ხუნწარია და დადიანი სასამართლომ გაამართლა.

✦ **მღვდელი გძელიშვილის საქმე.** მღვდელმა გძელიშვილმა, რომელმაც პოლიციას განუცხადა, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 6520 მანეთი დაჰკარგა საქართველო-იმერეთის კანტორის თხოვნით მიმართა ეცნობოს კოპიო კანტორის საკრებულოს დადგენილებისა მღვდელთ მოქმედებიდან მისი გაძევების შესახებ თუ იგი ერთი კვირის განმავლობაში არ შემოიტანს დაკარგულ ფულს, რომელიც საეპარქიო სანთლის ქარხანას ეკუთვნის. მ. გძელიშვილს უნდა პასუხის გებაში მისცეს ის პირნი, რომელთაც საკრებულოს დადგენილებას ხელი მოაწერეს, რადგან ამათ წინდაწინვე სასამართლოს მიერ საქმის გაურჩევლათ გადაწყვიტეს თითქოს იგი დამნაშავეა. („კ.“).

✦ **ფერშალთა სკოლაში.** მიხეილის საავათმყოფოსთან არსებულ ფერშალთა სკოლაში თხოვნების მიღება უკვე შეწყდა. თავისუფალი ადგილები მხოლოდ პირველ კლასშია (10 ადგილი). განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 27-ს და 28 აგვისტოსთვის.

✦ **სომეხთა დრამატიული საზოგადოება.** ხსენებულ საზოგადოების გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში მოხდა, გამოირკვა, რომ საზოგადოება მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაშია მატერიალურათ. ამიტომ დაადგინეს მომავალ სეზონში შესწყვიტონ წარმოდგენების გამართვა და საქმის ვითარება საზოგადოების მომავალ საერთო კრებას გააცნონ.

✦ **ახალი აბანოები.** ამას წინათ ქალაქის ერთმა ტეხნიკოსმა ბოტანიკურ ბაღის ქვემოთ ორბელიანის აბანოებთან აღმოაჩინა გოგირდის აბანო და ამის შესახებ ქალაქის გამგეობასაც შეატყობინა. ამ ორი წლის წინეთ იქვე, მახლობლათ გეოლოგ აბიხსაც აღმოუჩენია აბანო, მაგრამ დღემდის ამ ადგილებისთვის გამგეობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

✦ **სახელოსნო სასწავლებელში.** თფილისის სახელოსნო სასწავლებლის მმართველმა სთხოვა ქალაქის სასწავლებელთა მმართველ კომისიას მასწავლებელ გრიგორიანის ნაცვლად ფიზიკის მასწავლებლათ სახელოსნო სასწავლებელში სხვა მასწავლებელი დანიშნოს. კომისიამ განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა გრიგორიანის ნაცვლად მოიწვიოს ვინმე ელექტრო-ტეხნიკი ან საზოგადოთ, ტეხნიკურ მეცნიერებათა მცოდნე პირი, რომ საჭიროების დროს დირექტორის მაგიერობაც შესძლოს სასწავლებელში.

✦ **ჟანდარმთა სამმართველოს რევიზია.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იტყობინებიან, აგვისტოში თფილისში ჟანდარმთა სამართველოს სარევიზიოთ ჩამოვლენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი საგანგებო საქმეთა მოხელე.

✦ **ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების შუამდგომლობა.** ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა დაუთმოს საზოგადოებას საღამოობით სკოლის რომელიმე შენობა ავლაბარში და თან ერთდროულ დახმარება აღმოუჩინოს ყოველ წლიურათ 300 მანეთი. კომისიამ ბინის დათმობაზე უარი განაცხადა, ხოლო დაადგინა საზოგადოებას ერთდროულათ ხუთასი მანეთი მისცეს.

✦ **შენობა სკოლისათვის.** ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის ტეხნიკოსის მიერ შედგენილი პუშკინის სახელობაზე სკოლის შენობის ასაგებათ. ტეხნიკოსის აზრით შენობა 11,000 მ. დაჯდება. კომისიამ დაადგინა წინადადება მისცეს ბ-ნ ტეხნიკოსს სცადოს, რომ სკოლის შენობა 7,500 მ. მეტი არ დაჯდეს.

✦ **ექსკურსია.** კიევის საკომერციო ინსტიტუტის ექსკურსია უკვე ბრუნდება 22 აგვისტოს. ჩაწერა და ფულების გამოგზავნა შეიძლება 20 აგვისტომდე სტუდ. პავლე პაპასკირთან (აბას-აბათის მოედანი, № 2).

✦ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებული.** 1 აგვისტოს სოფ. ქვემო ჭალაში (გორის მაზრა) ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დააპატიმრა ამავე სოფლის მცხოვრები მიხეილ გიგიაშვილი. როგორც გაგვიგეთ, დაპატიმრებული 1905 წ. ოლონეცის გუბერნიაში ყოფილა გადასახლებული. 23 ივლისს იგი ოლონეცის გუბერნიიდან ახალ ბინაზე ბესარაბიის გუბერნიაში გადაუწესებიათ საცხოვრებლათ. მას კი, ეს ვერ გაუგია და გონებია სრულიად გამანთავისუფლესო და სახლში ჩამოსულა. დაპატიმრებული 5 აგვისტოს ხელახლა გაათავისუფლეს და წინადადება მისცეს საჩქაროთ წასულიყო ბესარაბიის გუბერნიაში. გიგიაშვილმა უკვე აასრულა ეს წინადადება და 11 აგვისტოს უკვე წავიდა დანიშნულ ადგილას.

✦ **ახალი ბინა.** ქალაქის გამგეობის პირველი განყოფილება, სამასწავლებლო კომისია და სამხედრო საქმეთა განყოფილება გადატანილ იქნა ახალ ბინაზე, განთვის ქუჩაზე.

✦ **მკვლელობა.** 13 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ალექსანდროვის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს სამსახურიდან გადამდგარ გენერლის ცოლი ევდოკია ტრეტიაკოვისა. უცნობნი მიიმალენ. მიზეზი ჯერ არ იციან.

✦ **სასიკვდილოთ დაჭრა.** 13 აგვისტოს ღამის 12 საათზე ხივის გადასახვევში ხოჯივანქის სასაფლაოს მახლობლათ, მიყრუებულ ადგილას ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა სპარსეთის ქვეშევრდომი მიკირტიჩ ოგანესოვი. ეჭვით შეიპყრეს ხაჩატურ აკოპიანცი.

✦ იუმორისტული, ნახატებიანი ჟურნალი **„მათრახი და სალამური“ № 10** გამოვა გასასყიდათ პროვინციაში შაბათ დილით, ქალაქში გაიყიდება შაბათ საღამოს შრომის სტამბაში.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ქუთაისი. წყლის საყვანი. 9 აგვისტოს მოხდა საბჭოს სხდომა. განხილულ იქნა სხვადასხვა პირთა წინადადებები წყლის საყვანის მოწყობის შესახებ ქუთაისში. საბჭომ ერთხმათ დაადგინა: წყლის საყვანის მოწყობა მიანდოს ბ-ნთ ლადიანს და კანცელს. მათვე დაევალა მომავლისათვის წარუდგინონ ქალაქის საბჭოს დაწვრილებით შემუშავებული პროექტი ქალაქის კანალიზაციის მოწყობის შესახებ. ამნაირათ, ამ ფრიად სასარგებლო და სანატრელი საქმის ერთი ნაწილი დასრულებულია. გისურვებთ, რომ ქალაქის მამებს წყლის საყვანის პრაქტიკულათ განხორციელებაც სასურველათ დაეგვირგვინებიათ.

ხორცზე ნიხრის დადება. ქალაქის გამგეობის წევრმა ბ. კ. ბაქრაძემ სარწმუნო წყაროებიდან ცნობები მიიღო, რომ ახალქალაქის მაზრაში, საიდანაც საკლავი საქონელი მოყავთ ქუთაისში, სიცხეების გამო საბალახოები გამოლეულა და საკლავ საქონელზე ფასი საგრძნობლათ დაწეულა. ქუთაისის მიდამოებშიაც შედარებით გაიაფებულა საკლავი. ამ მიზეზის გამო ბ. ბაქრაძემ წინადადება შეიტანა, უკვე არსებულ ხორცის ნიხრზე დაკლებულ იქნეს ერთი კაპეიკი. საბჭომ ეს წინადადება ერთხმათ მიიღო. დღეიდან გირვანქა საქონლის ხორცი ეღირება პირველი ხარისხის 11 კ.; მეორე ხარისხის 10 კ.; ჩვილი ხბოს ხორცი 12 კ.; სუკი 19 კ.; ცხვრის ხორცი 11 კ.; ღორის ხორცი 10 კ.; კამეჩის 7 კ.

საქველ-მოქმედო წარმოდგენა. სოფელ ქვემო ქვიტირში, 14 აგვისტოს, საქველმოქმედო მიზნით გაიმართება იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნება: „ადამ და ევა“ და „უბედური ხვედრი“.

კოლექტიური თხოვნა. როგორც გადმოგვცეს, სადრაის მცხოვრებლებს კოლექტიური თხოვნა მიურთმევიათ ქალაქის თავისათვის. ისინი ქალაქის თავს თხოვენ, რომ ადმინისტრატიულათ დასჯილი ვარ. ბურჯანაძე ისევ დანიშნულ იქნეს ზედამხედველათ ქალაქის მეოთხე სკოლაში. თხოვნას ორასამდე კაცი აწერს ხელს.

პანაშვიდი. 9 აგვისტოს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი, უდროოთ გარდაცვლილი მეორე დუმის დეპუტატის სევერიანე ჯუღელის ხსოვნის მოსახსენებლათ. პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო.

სამეურნეო გამოფენა. ორგ. კომიტეტმა, რომელსაც დავალებული აქვს სამეურნეო გამოფენის მოწყობა ქუთაისში, 10 აგვისტოს სახელმწიფო მიწათ-მოქმედების შენობაში დანიშნა კრება. კრებას განსახილველი ქონდა შემდეგი კითხვები: 1) ექსპონატებისათვის წინასწარი ბინის დანიშვნა; 2) მათი შენახვა; 3) გამოფენაზე ტყის განყოფილების მოწყობა; 4) სოფლის მეურნეთა კრებისათვის შენობა 5) დამხმარე კომიტეტების უკანასკნელი ცნობები.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„ახალი ჩანგი“ კრებული, გამოცემა ამხ. „სორაპანისა“.

ამხანაგობა „სორაპანი“ შეუდგა სისტემატიურათ ქართველ და უცხო მწერლების ნაწარმოებთა ბეჭდვას. აზრი ფრიად სიმპატიური და პატიოსანია და უნდა ითქვას სიმართლე, რომ ბ-ნ გაჩეჩილაძის პირველი ორი გამოცემა საუკეთესო გამოცემათ უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროთ, სულ სხვა სურათი გვეშლება თვალ-წინ ამხანაგობის მესამე გამოცემა—„ახალ ჩანგში“. საზოგადოებისათვის საქმის ცოდნა და ლიტერატურული ეთიკაა საჭირო და სწორეთ ამას ვერ ვხედავთ, სამწუხაროთ, ამხანაგობის უკანასკნელ გამოცემაში. გარეგანი მხრით „ახალი ჩანგი“ მშვენიერი და სუფთათაა გამოცემული, მარა შინაარსით კი, სუსტობს. იგი, როგორც ორი სხვა, ხელის მოწერით გამოიცა. და მაშასადამე, მკითხველები მას წინდაწინ ენდვენ. „სორაპანის“ ამხანაგობამ კი ეს ნდობა ვერ გაამართლა. წიგნში შემდგენელს მოუთავსებია ალექსანდრე ჭავჭავაძიდან დაწყებული უკანასკნელ დროის მწერლებამდე თვითეული ავტორის რამდენიმე ლექსები.

ქართველ მწერლების საუკეთესო ლექსთა კრებულის საჭიროება დიდი ხანია საგრძნობელი იყო ქართველ საზოგადოებაში, რადგან ასეთივე გამოცემანი ბ-ნ აბაშიძისა და ჭელიძის ვერ აკმაყოფილებს ხალხს. „სორაპანის“ ამხანაგობა მიმხვდარა ამას და ამ საჭიროების თავის სავაჭრო მიზნებისთვის გამოყენება განუზრახავს. ცოტ-ცოტა შეცდომები ასეთი გამოცემის დროს ყოველთვის აუცილებელია და ამ შემთხვევაშიც, ეპატიებოდა გამომცემელს, მაგრამ ჩვენ „ცოტ-ცოტასა“ და „უნებლიეთ“ შეცდომებზე არ გვინდა მივუთითოთ მკითხველებს, არამედ დიდსა და პირდაპირ მიუტევებელ შეცდომებზე, რომელიც განზრახ ჩადენილი უნდა იყოს ან სრული უცოდინარობის შედეგი. როდესაც წიგნი ხელის მომწერით იცემა, როდესაც წინდაწინვე არ აცხადებ იმ ავტორთა გვარებს, რომელთა ნაწარმოები წიგნში შევლენ და ასე, ხელის მოწერას მართავ, როდესაც შემდეგ ხელის მომწერლებს ხელში აჩეჩებ კონტრაბანდათ უშინაარსოთ შედგენილ წიგნს, ეს მეტის მეტი დანაშაულია, ეს ვერაფერ სახელს მოუხვეჭს გამომცემელს და მომავალში მხოლოთ შეაფერხებს მის წარმოებას. ამხანაგობა „სორაპანი“ კი სწორეთ ასე მოიქცა. თავდაპირველათ, რაც თვალებში ეცემა ყოველ ხელის მომწერს და მკითხველს ეს ისაა, რომ წიგნში სრულიად არ მოიპოვება არც ლექსები და არც სურათი ერთი იმ საუკეთესო პოეტთაგანისა, რომელნიც ქართველებს ოდესმე გვყოლიათ, სახელდობრ ვაჟა-ფშაველასი. ეს მეტის მეტათ საყურადღებო ფაქტია! იმიტომ კი არა, რომ ამით ვაჟას რამე დააკლდება... მას ქართველი საზოგადოების ყველა წრეებში იცნობენ.

ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ბ-ნ გაჩეჩილაძემ სწორეთ ვაჟასთან პირად უთანხმოებისთვის გამოტოვა ეს უკანასკნელი პოეტთა სიიდან, ხაზი გაუსვა მის ლექსებს და ქართველ პოეტებში ერთი ლექსიც არ დაუბეჭდია. თუმცა წინეთ მთელი მისი წიგნი გამოსცა და ამით თავის გამოცემებს საძირკველი ჩაუყარა. მას სრულიათ არ უფიქრნია, რომ ამ შემთხვევაში ის პასუხისმგებელია საზოგადოებასთან და ხელის მომწერლებთან, ასევე ვაჟასთან. შეცოდება „ახალი ჩანგის“ შემდგენელის არის ის, რომ მას შედარებით ნაკლები ყურადღება მიუქცევია ერთი ბანაკის მწერლებისათვის და ზოგიერთი მათგანი კი სრულიად გამოუტოვებია! ვიმეორებთ, გამომცემელი ვალდებულია ასეთ შემთხვევაში საზოგადოებას სრული სურათი წარუდგინოს ლიტერატურის მოღვაწეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელის მომწერთ და საზოგადოებას ღალატობს, ატყუებს მათ! ვინ უნდა მოატყუას ამხ. სორაპანმა მაგ., რომ ნიჭიერი მეფელეტონე და იუმორისტი ეშმაკი ნაკლებ საყურადღებოა, ვინემ ვ. ურუშაძე დ. მესხი და სხვები, რომელთა „პაორეთები“ ამშვენებს წიგნის პირველ გვერდებს! შეიძლება ბ-ნი გაჩეჩილაძე ცუდ განწყობილებაში იყოს მასთან რა შუაშია ხელის მომწერლები და საზოგადოება, რატომ უნდა შეეწიროს ამათი კანონიერი ინტერესები ბ-ნ გაჩეჩილაძის პირად სიმპატია ანტიპატიას.

სრულიად გამოუტოვებია ბ-ნ გაჩეჩილაძის კ. გოგოლაძის ლექსები, მხოლოდ თითო ლექსი მოუთავსებია რ. ლეჩხუმელისა, ტუქსიშვილისა, ზომლეთელისა და სხვანი, მასთან, ისეთი ლექსები, რომლებიც არასოდეს არ ჩაითვლებიან მათ ავტორთა საუკეთესო ლექსებათ. გამომცემელი კი ვალდებულია კრებულში პი-

რეულათ ყოვლისა საუკეთესო ლექსები მიაწოდოს საზოგადოებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე ავტორის მხოლოდ თითო ლექსს ბეჭდავს. ასეთ შემთხვევებში მიზნის შესაფერისია გამომცემელი თვით ავტორებს დაეკითხოს და ამათი აზრი, ყოველ შემთხვევაში, გამომცემლის აზრზე უფრო სარწმუნო და დამახასიათებელი იქნება.

მასთან, ვინ არ იცის, რომ ზოგიერთი პირობების გამო ავტორები ისე ვერ ბეჭდავენ ლექსებს, როგორც მათ ხელიდან გამოუვიდათ.

ხშირათ თვით ავტორი არაა კმაყოფილი რომელიმე თავის წინანდელ ლექსისა და გამომცემელს კი ასეთი ლექსი შეაქვს კრებულში, როგორც ავტორის დამახასიათებელი! კრებულში შედარებით კარგადაა შედგენილი განყოფილებები ბ. ახოსპირელისა, ვ. რუხაძისა და ა. შანშიაშვილისა. დანარჩენი ძველი და ახალი პოეტების განყოფილებები ძალიან სუსტათაა შედგენილი. მათი, გაცილებით უკეთესი ლექსები, გამოტოვებულია და უარესი კი მოთავსებული. თუ თვითეული ავტორის ცალკე შეკითხვა მოუხერხებელი იყო, ბ. გაჩეჩილაძეს შეეძლო რომელიმე ავტორთაგანი ან კომისია მოეწვია მთელი კრებულის სარედაქციოთ! ამას მოითხოვდა საერთო საქმის ინტერესი!

წიგნში ბლომათაა მოთავსებული ისეთი ტაკი-მასხარული ლექსები და სცენები, რომელთა ბეჭდვა დღევანდელ მომენტში, მეტი რომ არა ვთქვათ, უაზრობაა! დღეს სულ სხვა მოტივები გვჭირია, სულ სხვა გვაინტერესებს, ვიდრე წინეთ, ვიდრე სხვა დროს. პოეზია, საზოგადოთ ლიტერატურა, საუკეთესო გამომხატველია ცხოვრების მოვლენათა, საზოგადოების ყველა ნაწილების მისწრაფებათა. ამათში გამომცემელი ვალდებული იყო საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მისწრაფებათა ასე თუ ისე გამომხატველი ლექსები და სცენები ეძლო. აბა, ვის აინტერესებს დღეს ის, თუ რა ასმევს ლოთ კინტოს ღვინოს? ვ. აბაშიძის „ჩანგიდან“ ამოღებული ყველასგან მომაბეზრებელი სცენები და სხ. სატირები შეიძლება სულ სხვა აზრისა დაიწეროს და ამ შემთხვევაში, როგორც მაგალითისთვის, მივითითებდით თუნდ იმავ ეშმაკის პოლიტიკურ ფელეტონებსა და სატირებზე.

თუ ზოგიერთი ავტორები სრულიად გამოტოვებულია, სამაგიეროთ, კრებულში ბლომათაა სასიყვარულო ლექსები და რომანსები ი. გრიშაშვილისა! ზოგიერთ მის ნაწერებს მართლა ეტყობა ნიჭი და საქმის ცოდნა, მაგრამ ასეთი ლექსებით კრებულის გაბერვა, ჩვენის აზრით, საქმეს ავნებს მხოლოდ.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ავტორთა სურათებზე. ორში ერთი: ან ყველა ავტორების სურათი უნდა ყოფილიყო, ან უფრო ცნობილთა. როგორც დავინახეთ გამომცემელმა აქაც უღალატა საქმეს! ვაჟა-ფშაველასა, ცახელისა, დუტუ მეგრელისა, თომაშვილისა და ზოგიერთ სხვათა სურათი არ არის, ხოლო სამაგიეროთ: არის: ა. შანშიაშვილისა, ვ. ურუშაძის და სხ. სურათები მოთავსებულია ანასტ. ერისთავი-ხოშტარიას სურათი, არაა ნინო ნაკაშიძისა, ნ. ორბელიანისა და სხვ. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ან ან. ხოშტარიასა ან ა. შანშიაშვილის სურათიზედ მეტი იყოს კრებულში, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, ცალმხრივობას, და ერთნაირ ტენდენციას. აკაკის ლექსების განყოფილებაში მე-167 გვერდზე მოთავსებულია ვიღაც ქალის სურათი, რომელიც მადამ-სტალს მოგვაგონებს! არ გვგონია, რომ იგი ქართველი მწერალი ან არტისტი ქალი იყვეს! ან იქნებ, ეს რუსულ „გასართობ“ ჟურნალიდანაა ამოღებული, როგორც უაზრო სურათი კრებულის პირველ გვერდზე? ქართველი არტისტების სურათებშია: ვ. გუნია, კ. მესხი, ალ. ლეჟავა, ნ. დავითაშვილი... არ არის... ვლ. მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ეს ორი ბურჯი ქართული დრამატიული ხელოვნებისა!

ჩვენი დასკვნა ესაა,—წიგნი უაზროთაა შედგენილი და, თვით ფასიც ძვირია გამოცხადებული, მანეთი და შვიდი შაური სასურველია შემდეგში მაინც იქნეს აცილებული თავიდან ასეთი შეცდომები. სასურველია ამხ. „სორაპანი“ მეტ ყურადღებას მიაქცევდეს თავის გამოცემების შინაარს და მკითხველთ აბუჩათ არ აიღებდეს.

შხ—ლი.

კორესპონდენცია

გურია. გურულს არ უყვარს თანდათანობა. მას მოფიქრებისთანავე სურს საქმის გაკეთება. საქმის სიძნელე მხოლოდ მაშინ აფიქრებს მას, როდესაც უღელი მთელი თავისი სიმძიმით კისერში აწვება. მაშინ ის უკან დახევას ფიქრობს, მაგრამ გზა უკვე მოჭრილი აქვს და ის ჰაერში გამოკიდებული რჩება. ასე მოუვიდა ზოგიერთ საზოგადოებების მცხოვრებთ რეალური გიმნაზიის გახსნის საქმეში. პირველათ ისინი დათანხმდენ თანხის გაღებას და შესაფერი განაჩენიც გამოიტანეს, ხოლო როდესაც ფულზე მიდგა საქმე, განგაში ასტეხეს: „გვატყუებენ, არაფერი გამოვა აქედანო“, „ჩვენ ღარიბები ვართ, გიმნაზიით კი მდიდრები ისარგებლებენო“.

რასაკვირველია, ამას გაიძახის თითოოროლა ვაჟბატონი, მაგრამ ხალხიც სდუმს ამ დროს, ალბათ, უკანასკნელი თავის დუმილით თანხმობას უცხადებს პირველებს...

მდიდრისთვის კი სულ ერთია, მას შეძლება ხელს უწყობს, რომ შვილი წაიყვანოს სხვაგანაც...

თუ კი სოლიდარული მოქმედება იქნება, ღარიბებსაც შეეძლოთ თავი დაეხწიათ ამ გაჭირვებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ უმთავრესათ ღარიბებს გაუჭირდება სწავლის ფულის გადახდა, ამიტომ საზოგადოებებს შეუძლიათ გიმნაზიაში სწავლის ფული მოსპონ და თვით იკისრონ ამ ფულის გადახდა. მაშინ თითოულ კომლს მოუწევდა ყოველწლიურათ 30—40 კ.-ს გადახდა.

ანდა შესაძლებელია გიმნაზიასთან დაარსდეს მშობელთა საბჭო, რომელიც უმთავრესათ იზრუნებს ღარიბი მოსწავლეების ნივთიერ უზრუნველყოფაზე. აი გამოსავალი, თუ ხალხი მოიწადინებს.

როგორც ვიცით, გურია სწავლა-განათლების საქმეში მოწინავე კუთხეთ ითვლება. ისეთ საზოგადოებას ვერ შეხვდებით, რომ მას ორკლასიანი სამინისტრო სკოლა არ ქონდეს. ზოგან კი 3—4 სკოლაა. ამ სკოლების უმრავლესობის შენახვა კი ხალხს აწევს კისერზე... ავიღოთ ორკლასიანი სამინისტრო სკოლა. იქ ხუთი განყოფილებაა თითო წლის კურსით. თითოეულ განყოფალებაში ბავშვთა რიცხვი ადის 70-მდის. ასეთ სკოლაში მეცადინეობს ორი, იშვიათ შემთხვევაში, სამი მასწავლებელი. მაშასადამე, თითოეულ (უფრო სწორი იქნება რომ ვთქვათ, რომ ასეთი მასწავლებლები 65—70 პროც. შეადგენენ) მათგანს ყავს ორ-ორი განყოფილება. დარბაზში 100—140 ბავშვია, როდესაც პირველი ნახევარი სწერს, ან ამოცანებს აკეთებს, მეორე ნახევარი სიტყვიერათ მეცადინეობს და პირველ ნახევარს ხელს უშლის... ეს კიდევ ცოტაა. სკოლებში არსებობენ სხვა ხელის შემშლელი მიზეზებიც. უსუფთაობა, ნაკლები სინათლე და ზამთარში სიცივე.

აშენდა თუ არა ერთხელ სკოლა, შემდეგ მისთვის არავინ ზრუნავს. ხშირათ შეხვდები იატაკზე ერთი მტკაველი ტალახია ან მტვერი, ფანჯრებში მინებია ჩამტვრეული, დარბაზში სდგას ძველებური-ჩვენებური ბუხარი, რომელიც თითქმის არავითარ სითბოს არ იძლევა და ზამთარში 5—6 ვერსის მანძილიდან მოსულ ბავშვებს სიცივისაგან აკანკალებთ და აქედან მრავალგვარი ავათმყოფობა ჩნდება.

როდესაც ყოველწლიურათ საზოგადოების ყრილობაში დაისმება საკითხი სკოლის რემონტის და „სტოროჟის“ შესახებ, გაისმის ხმები: „რის რემონტი, რის სტოროჟი“.

შარშან „სმეტის“ განხილვის დროს ბასილეთის ყრილობას დავესწარი. დიდხანს გაგრძელდა „სტოროჟის“ დაქირავებაზე ლაპარაკი. ერთი ამბობს: „ხომ გაიგეთ, ძმებო, რომ დავღარიბდით. თუ მასწავლებლებს სურთ ჩვენთვის კარგი, თითონ დაჰგავონ „კლასები“ მეცადინეობის შემდეგ“-ო.

ამგვარ მოსაზრებას მომხრეებიც აღმოუჩნდა. შემდეგ იმ დასკვნამდინაც მივიდენ, რომ მეცადინეობის შემდეგ თითონ მოსწავლე-ბავშვებმა დაჰგავონ დარბაზებიო.

ასეთ ბარბაროსულ დადგენილებას ბევრ საზოგადოებაში აქვს ადგილი. ნახევრათ შიშველი ბავში, მშიერი, მეცადინეობით მოქანცული ძალა-უნებურათ ასრულებს მშობლების უკულმართ დადგენილებას...

ყოველ წლის ბოლოს ბავშვი ერთი განყოფილებიდან მეორეში გადადის, ან სრულიათ ათავებს სკოლის კურსს, მხოლოდ იმაზე არავინ ზრუნავს ღირსეულათ სწავლობენ ბავშვები თუ არა. ისე გაივლის მთელი წელიწადი, რომ ერთხელაც არ მოხდება მშობლების და მასწავლებლების შეერთებული კრება, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობდა როგორც სკოლის, ისე მეცადინეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას.

სკოლის გათავების შემდეგ ბავშვების უმრავლესობა სწავლას ველარ აგრძელებს სიღარიბის გამო. ისინი სოფლათ რჩებიან. მათ არ შეუძლიათ არც ინტელექტუალური შრომით თავის შენახვა და არც პრაქტიკულათ შეუსწავლიათ რამე. ისინი ხორცმეტი ხდებიან მშობლების თვალში. რანაირათ შეიძლებოდა ასეთი სამწუხარო მოვლენის თავიდან აშორება?

გურულების უმრავლესობა წვრილი მიწის მესაკუთრეა. წასვლა არსად შეუძლია, რადგან მას არსად არ ღებულობენ. დარჩენია ერთად ერთი წვრილი მიწის ნაკვეთი, რომლითაც თავიც უნდა შეინახოს და მოთხოვნილებებიც გაისტუმროს, ამიტომ მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცოდნა, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთი ჩვენი სკოლა ამ ცოდნას არ იძლევა.

დღეს ერთათ-ერთ შემოსავლის წყაროს შეადგენს აბრეშუმის პარკი, მაგრამ ხეირიანათ ჭიის მოვლა მთელს გურიაში თითქმის არავინ იცის. წარმოდგენა არ აქვთ გადასაყვან ქაღალდებზე, ტერმომეტრზე და სხვა ამ საქმისთვის საჭირო საგნებზე. ღარიბი ოჯახი შრომობს, აკვდება აბრეშუმის ჭიას, ბოლოს ხედავს რომ ცარიელი რჩება. ამიტომ აუცილებლათ არსებულ სკოლებთან უნდა გაიხსნას პრაქტიკული კურსები, სადაც ბავშვებსაც და დიდებსაც შეეძლება ამ სასარგებლო საქმის შესწავლა.

ასეთივე კურსები უნდა გაიხსნას მევენახეობის, მებაღეობის, ფუტკრის მოშენების და სხვა ამგვარი დარგების შესაწავლათ.

სამწუხაროთ, მასწავლებლების უმრავლესობაც ნაკლებათ მომზადებულნი არიან. ბევრი მათგანი სამოქალაქო ან სასულიერო სასწავლებლების გათავების შემდეგ მიეშურებიან მასწავლებლობის თანამდებობაზე, უმთავრესათ იმისთვის, რომ სამხედრო ბეგარას თავი დააღწიონ.

მიუხედავათ ამისა, მასწავლებლებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ სოფლათ... საქმე პატარა რამედან უნდა დაიწყო, გლეხის ყურადღება დაიმსახურო, მას შრომის ნაყოფი დაანახო, მერე ის ყველაფერ ამგვარ საქმეში დაგეთანხმება. ამნაირათ, ჩატეხილი ხიდი მასწავლებელთა და მშობელთა შორის გამთელდება და ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჯვარცხმის ყრილობაში: „მასწავლებლები გვღუპავენ, იგინი თავისთვის ზრუნავენო“...

„რა დროს გიმნაზიაზე ლაპარაკია, მაგ შკოლასაც თავზე დაგიგრევთო“, გასავალი აღარ ექნება.

მასთანვე, უნდა შევეცადოთ, რომ თითო განყოფილებას თითო მასწავლებელი ყავდეს, რადგანაც მაშინ ბავშვები დღევანდელთან შედარებით ორჯერ-სამჯერ მეტს ისწავლიან.

ყველა სამინისტრო და სამრევლო სკოლებში ვაჟები სწავლობენ. ქალები კი მოკულებულია, მათთვის თავს არავინ იწუხებს. ამოდენა მაზრაში, სადაც მცხოვრებლების რაოდენობა 130,000 ადის, საქალებო პირველ დაწყებითი სკოლები თითებზე ჩამოსათვლელია... ლანჩხუთში ცდილობენ „მარიინსკი-“ს სასწავლებლის გახსნას, მაგრამ, სამაგიეროთ, ლანჩხუთლები ცდილობენ ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის აშენებაზე უარი სთქვან. ასე დიდებულათ მიყავს ორიოდე დემაგოგს სწავლა-განათლების საქმე.

კრებკიძე.

შემოწირულება

ს. მათხოჯის (ხონის რაიონი) უფასო სახალხო სამკითხველოს გამგეობამ მიიღო ჭიათურაში ვარლამ ხუროძის მიერ შეგროვილი 13 მ. და 65 კ. სია შემომწირველთა:

თითო მანეთი შემოსწირეს: ნიკო წუწუნავამ, ნინა წულუკიძემ, მარგარიტა ვაშაძემ, ირაკლი დეკანოზიშვილმა, ნიკო ჯაყელმა, ექიმმა გრიგოლ მამამთავრიშვილმა, გიორგი ჭუმბურიძემ, ვანო წერეთელმა, გიორგი ანთელიძემ და ნიკიფორე ათაბეგმა; ათ-ათი შაური: ალექსანდრე მითაიშვილმა, ვანო გომელაურმა, სოფრომ ტარუაშვილმა, მარუსია წხეიძემ და მღ. ჯერვასი ბარათაშვილმა. ალექსანდრე ბახტაძემ 35 კ. და ტარასი კვიჟინაძემ 30 კ. გამგეობამ მიიღო აგრეთვე ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების მიერ შემოწირული სამი წიგნი, ღირებული 55 კ. გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

გამგეობის თავმჯდომარე მღ. **ბესარიონ მელაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშქელიანი.

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

თფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბორჯომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

განცხადებანი

კბილის ექიმი
ს. ნ. მაცრიოსოვიჩ-სანოვიჩი.

დაპლომბვის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—11)

სიკვდილი ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლაპოვინი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 35 კ. დარიგება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებით. მოითხოვეთ კლაპოვინი ახობაძისა. **ერთად ერთი საწყობი თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—23

АЛЬМЕЗА ЕСТЬ
АЛЬМЕЗЫ НѢТЪ

ალმეზა

ალმეზა 2 წუთში აცხრობს კბილის ტკივილს. კარგავს პირის სიმყრალეს. ამაგრებს ღრძილებს, აჩერებს სისხლის დენას. აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში. ვარჩენთ კანტორაში უფასოთ. ფასი ნორ. ფლ. 1 მ. 20 კ. საცდელისა 40 კ. ვგზავნით ფასდადებით. დარიგება თან ახლავს; **საწყობის კანტორა თფილისში,** ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. 15—8

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888
1908 წ.
საფაბრიკო საწყობის განყოფილება
ამიერ-კავკასიისთვის
თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.
იყიდება ნარდათ და ცალობით
დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასადმე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბელი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.
ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“
(25—6.—34).